

3. საქონლის მიწოდების გრაფიკი და ტექნიკური პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი მ. კოსტავას ქ. №68;

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან - 120 (ასოცი) კალენდარულ დღე, (აღნიშნულ ვადაში უნდა მოხდეს საქონლის მოწოდება ინსტალაცია, კონფიგურაცია, ტესტირება, პერსონალის ტრენინგები და ექსპლუატაციაში ჩაშვება, ეთერში გაშვების ჩათვლით).

შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი, რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლები თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციას.

3.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანებისაგან დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირების პროცესში.

3.4 შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

3.5 შემსყიდველი საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელებს საქონლის შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ მიწოდებულ საქონელს შემოწმების პროცესში აღმოჩნდება გარკვეული ხარვეზები ან შემოწმებული საქონელი ვერ დააკმაყოფილებს ტექნიკურ მონაცემებს შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.

3.6 მიწოდებული საქონლის ტექნიკური შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი წუნდებული საქონლის შეცვლა.

3.7 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი კონტროლი (შემოწმება) გაიმართება შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე, მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით.

3.8 შემოთავაზებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს 1 (ერთი) წლიანი გარანტია. საგარანტიო პერიოდში მიწოდებულ საქონელზე ქარხნული დეფექტის და/ან დაზიანების (სწორი ექსპლუატაციის პირობებში) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით) დაზიანების სირთულიდან გამომდინარე 7 - 30 დღის განმავლობაში წუნდებული საქონელის შეკეთება ან/და შეცვლა.

3.9 საგარანტიო პერიოდში საჭიროების შემთხვევაში ტექნიკის ტრანსპორტებას მიმწოდებლის მხარეს და შეკეთებული ტექნიკის ტრანსპორტირებას შემსყიდველის მხარეს (ქ. თბილისი კოსტავას ქ. №68) უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

3.10 მოწოდება, ინსტალაცია, ტრენინგი, ექსპლუატაციაში გაშვება

პრეტენდენტის შემოთავაზება უნდა შეიცავდეს: შესყიდვის ობიექტის მიწოდებას /აწყობას, სრულ ინსტალაციას ყველა აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის, კონფიგურაციას და ამუშავებას, ექსპლუატაციაში ჩაშვებას. აგრეთვე უნდა იყოს გათვალისწინებული შემსყიდველის (საზოგადოებრივი მაუწყებლის) თანამშრომლების სრული ტრენინგები - აღნიშნულის ღირებულება გათვალისწინებული უნდა იყოს ფასების ცხრილში, დანართი N1-ში.

3.11 პოსტ საგარანტიო და მხარდაჭერის (Support) პირობები

ძირითად აპარატურაზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 1 (ერთი) წლიანი მხარდაჭერა (support). შესყიდვის ობიექტის მიწოდების (ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან) - აღნიშნულის ღირებულება გათვალისწინებული უნდა იყოს ფასების ცხრილში, დანართი N1-ში.

3.10 ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ 10 (ათი) დღეში (წინასწარი, საავანსო გადახდა ელექტრონულ ტენდერში არ გამოიყენება).

3.11 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: 100% - კრედიტით მიღებული სახსრები (2020 წლის სახსრები).

შესყიდვის ობიექტის საგარეულო ღირებულებაა - 7 892 751 ლარი.

ახალი ამბების წარმოება და მაუწყებლობა,

ახალი ამბების სტუდია და სააპარატო,

ცენტრალური საკომუტაციო სააპარატო.

პროექტის მიზანი

დოკუმენტი მოიცავს ახალი ამბების წარმოების და მაუწყებლობის აპარატურისა და სისტემების ტექნიკურ აღწერას, საინსტალაციო სამუშაოებს და ექსპლუატაციაში ჩაშვების გეგმას. მოსაწოდებელი საქონელი შეადგენს ახალი ამბების წარმოება-მაუწყებლობის ძირითად საშუალებებს. პროექტის მიზანია აეწყოს თანამედროვე აპარატურით და სისტემებით აღჭურვილი, ახლებური სამუშაო პროცესებით შედგენილი, მაღალი ეფექტურობის მქონე ახალი ამბების წარმოებისა და პირდაპირი მაუწყებლობის პლატფორმა.

ახალი ამბების მედიის დამუშავების ნაკადები

მედიის ინჯესტი

პროექტის ფარგლებში დაკომპლექტდება და აეწყობა ახალი ამბების ფიდური და ფაილური მედიის ცენტრალური ინჯესტის (ანუ ჩაწერის და რეგისტრაციის) სისტემა ანუ ზონა სამუშაო ადგილებით. ინჯესტის სისტემის მთავარი პრინციპია - განხორციელდეს ფიდური (ანუ პირდაპირი სიგნალების) და ფაილური (ანუ წინასწარ კამერით თუ სხვა ტექნიკური საშუალებით უკვე ჩაწერილი) მედიის ინჯესტი ერთიანი(ერთნაერი) ფორმატით, მისი შემდგომი დაუბრკოლებელი დამუშავების მიზნით.

მედიის ინჯესტის დროს მედია ფაილები ჩაიწერება მონაცემთა სანახ მასივებში. ჩაწერა ხორციელდება სპეციალური ინჯესტ-სერვერებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელსაც შეუძლია ერთდროულად აკონტროლოს სერვერების რამოდენიმე პორტი/პროცესი და მოახდინოს მრავალ არხიანი სინქრონული ინჯესტი. ინჯესტი ხორციელდება მაღალი გარჩევადობის ვიდეო/აუდიო ფორმატში.

ინჯესტირებული მედია ფაილები იწერება ან პირდაპირ ცენტრალურ სანახ მასივებში ან ხდება მისი დაუყოვნებლივი გადატანა მასივში. ამის შემდეგ მედია ხდება წვდომადი სისტემაზე მიერთებული ნებისმიერი სამონტაჟო კლიენტისათვის ან/და მედიის შემდგომი დამუშავების პროცესებისათვის. მედიის მასივზე არსებობა უზრუნველყოფს დაჩქარებულ წარმოების პროცესებს, ამ დროს ვიდეო/აუდიო ხარისხისა თუ კონტენტის შინაარსოვრივი კონტროლია შესაძლებელი უშუალოდ მაღალი გარჩევადობით.

ჩაწერილი მედია საჭიროებს შემდგომ რეგისტრაციას წარმოების ასეტების მართვის სისტემაში (Production Asset Management (PAM)), და რეგისტრაციის შემდეგ მედია ემატება გაერთიანებულ მონაცემთა ბაზას, სადაც შესაძლებელია მისი ძებნა და გამოყენება.

დამატებით ცენტრალური ინჯესტისა უნდა იყოს შესაძლებლობა ახალი მედია ჩაიწეროს უშუალოდ სამონტაჟო სადგურებზე, როგორც ფიდური ასევე ფაილური, საიდანაც შემდეგ მოხდება მისი გადატანა ცენტრალურ მასივებში.

ფაილური მედიის ინჯესტის სისტემამ უნდა უზრუნველყოს კამერებით ჩაწერილი და სხვა წყაროებიდან მიღებული ფაილების (მაგალითად ყველა ახალი ამბების სააგენტოებისაგან მიღებული) ინჯესტი. ინჯესტის სისტემა უნდა იყოს მჭირდროდ ინტეგრირებული PAM სისტემასთან და უნდა შეეძლოს მასში მედია ასეტების სწრაფი და შეუზღუდავი რეგისტრაცია ან API ან ვებ-სერვისების გამოყენებით.

მედიის სანახი სისტემა

ფიდურად თუ ფაილურად ინჯესტირებული საწყისი მედია ფაილები ანუ მასტერ კლიპები უნდა ინახებოდნენ Enterprise class დონის ცენტრალურ SAN/NAS სანახ მასივებზე. სისტემაზე მიერთებული ნებისმიერი სამონტაჟო სადგურს ან მონტაჟის სამუშაო ადგილს უნდა ჰქონდეს წვდომა მასტერ კლიპებზე სტანდარტული Ethernet ქსელით. მათ უნდა შეეძლოთ ნახონ და ამონტაჟონ ახალი მედია მიმდევრობები. მონტაჟის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს მეტადატის და მასტერ კლიპების ტაიმკოდებზე მიმანიშნებელი ე.წ. პოინტერების გამოყენებას. ამ პროცესში უნდა იყოს შესაძლებელი ახალი ვიდეო/აუდიო მიმდევრობები იქმნებოდეს არსებულ დედან მასტერ კლიპებზე პოინტერების მიმდევრობების და თანმხლები მეტადატის სახით. ეს მეთოდი უნდა იყოს პრიორიტეტულად გამოყენებული მასალების მრავალჯერადი დუბლირების ასარიდებლად ანუ სანახი ადგილის დაზოგვის მიზნით. გამონაკლისს შეადგენენ ის მონაკვეთები, რომლებიც შეიქმნებიან რთული გადასვლების ეფექტების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელი რენდერის დროს.

შემოთავაზებული სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მედია მასალებთან მრავლობით ერთდროულ შეუფერხებელ წვდომას სთორიჯის გამტარუნარიანობის თვალსაზრისით. შემოთავაზება უნდა შეიცავდეს მოთხვნილი მედია ფორმატებისა და მედიასთან წვდომის პროცესების რაოდენობრივ მახასიათებლებს და შესაბამის განათვლებს. სისტემის წარმადობა უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ თეორიულ დატვირთვას და უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკმარისი სამუშაო რეზერვი (headroom). შესაძლებელი უნდა იყოს სანახი სისტემის მომავალში შეუფერხებელი ზრდა.

მონაცემთა მართვის მოხერხებულობისათვის სანახი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კლიენტებისათვის ვირტუალური სამუშაო მოცულობების გამოყოფის შესაძლებლობას (არანაკლებ 1000 ერთდროული სამუშაო მოცულობა), მათთან კლიენტების ინტერფეისით, როგორც ქსელურ სთორიჯთან წვდომისათვის. სამუშაო მოცულობების ადმინისტრირება უნდა იყოს შესაძლებელი დინამიურად, სამუშაო პროცესის და სანახი მასივების გაჩერების გარეშე (ახლის შექმნა, წაშლა, ზომის გაზრდა ან შემცირება).

უზრუნველყოფილი უნდა იყოს კლიენტების ქსელური წვდომის უფლებების მოხერხებული მართვა, განსხვავებული სხვადასხვა მომხმარებლისა და სხვადასხვა რესურსის შესაბამისად.

სანახი მასივების ახალი მოდულების დამატების შემთხვევაში, სთორიჯის მოცულობის და წარმადობის ზრდის მიზნით, მონაცემები უნდა გადანაწილედეს სამუშაო პროცესების გაჩერებისა და შეფერხების გარეშე.

სანახი სისტემების მართვისა და კლიენტის ფუნქციონალი უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგი ოპერაციული სისტემებისა და სხვა თავსებადობას: Windows, Linux, macOS, მართვის ინტერფეისი უნდა იყოს არანაკლებ HTML5.

წარმოების მედია ასეტების მართვის სისტემა Production Asset Management (PAM)

შემოთავაზებაში უნდა შედიოდეს წარმოების მედია ასეტების მართვის სისტემა PAM. სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ეფექტური გუნდური თანამოშრომლობის სამუშაო პროცესებს მედია მონაცემების(ასეტების) ლოგირების, მონიტორინგის, დამუშავების და სხვა შესაძლებლობებით. PAM სისტემა სპეციალურად უნდა შექმნილი იყოს ვიდეო-აუდიო წარმოებისათვის. მომხმარებლის ინტერფეისებს უნდა ჰქონდეთ Windows და macOS მხარდაჭერა.

სისტემის უნდა გააჩნდეს ადმინისტრირების და მუშაობის არანაკლებ შემდეგი ფუნქციები:

ძიება:

ოპერაციულ სისტემაზე დამოკიდებულების გარეშე სისტემის საძიებო ინრეფეისი უნდა იყოს დაფუძნებული WEB HTML5 ტექნოლოგიაზე. ძიების პროცედურების ასაჩქარებლად აუცილებელია სისტემა იყენებდეს ე.წ. Elasticsearch ან მსგავსი ალგორითმების ტექნოლოგიას. მომხმარებელს უნდა შეეძლოს ადვილად მოძებნოს, ათვალიეროს და მოაწესრიგოს მედია მონაცემები (ასეტები) და იმუშავოს გრაფიკულ ფაილებთან. შექმნას, დაარედაქტიროს და აკონტროლოს სკრიპტები, მონაცემთა ტაბულები, ცხრილები და სხვა პროექტთან დაკავშირებული ფაილები და მათი ვერსიების ისტორია, უზრუნველყოს მათი მუშაობა შესაბამის პროგრამებში. მემონტაჟებს უნდა ჰქონდეთ თავის აპლიკაციებში ძიების სისტემასთან წვდომის ინტეგრისი/ინტეგრაცია, რათა შეძლონ აპლიკაციიდან გაუსვლელად ადვილად ეძებონ და მართონ მასტერ კლიპები, პროექტები, ეფექტები და სხვა მედია ფაილები და ობიექტები, გრაფიკული ფაილები. მემონტაჟებს ასევე უნდა ჰქონდეთ საშუალება სწრაფად, მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე გადაერთონ კონკრეტული მედია ასეტების განსხვავებული რეზოლუციების ვერსიებზე, Hi-res, low-res და სხვა.

ლოგირება, მასალების ნახვა და მარტივი მონტაჟი

სისტემას უნდა გააჩნდეს WEB HTML5 ტექნოლოგიით შექმნილი პლატფორმისგან დამოუკიდებელი აპლიკაცია(ები), რომლის მეშვეობით მოხდება ოფისში და გარედან მომორებული წვდომით მუშაობა. მომორებული წვდომა უნდა ხდებოდეს ქსელური უსაფრთხოების ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორებიცაა მაგალითად VPN სერვისები.

მომხმარებლის ინტეგრისი უნდა იყოს აწყობადი/კონფიგურირებადი მომხმარებლის როლის შესაბამისად - ჟურნალისტის, პროდიუსერის, ლოგერის და სხვა როლების მიხედვით. სისტემა უნდა აძლევდეს ოფისის და გარე მომხმარებლების წვდომას რეალურ დროში მედია ფაილებთან და მათ მეტამონაცემებთან.

სტანდარტული ინტერნეტ ბრაუზერის გამოყენებით, მომხმარებლის სამუშაო აპლიკაციას უნდა ჰქონდეს გარკვეული საბაზო აუცილებელი ფუნქციონალი, როგორიცაა: ასეტების ძებნა, მათი თვალყურება/ნახვა, მედიაზე მარკერების მონიშვნა და ტაიმკოდებზე მიხედვით ლოგების წარმოება, მედიის გამოყენებაზე შეზღუდვების დადება (როლის უფლებების შესაბამისად) ასევე მედიაზე დასაძებნი ხმის (ვოისოვერის) ჩაწერა და მარტივი ვიდეო მონტაჟი.

გარდა ამისა აპლიკაციას უნდა გააჩნდეს არანაკლებ შემდეგი ფუნქციონალი: გააჩნდეს ინტეგრაცია ნიუსრუმის კომპიუტერულ სისტემასთან (NRCS) და ასახოს მისი სკრიპტები და რანდაუნები უშუალოდ მომხმარებლის ინტერფეისში. მომხმარებელს შეეძლოს დასრულებული მედია მიმდევრობები (სიუჟეტები და სხვა) გაუმზას-გააგზავნოს სტუდიური აღწარმოების სისტემაში; გარდა ამისა გააჩნდეს საშუალება მომხმარებელმა ეძებოს ინფორმაცია სისტემასთან მიერთებული სხვა მედია ასეტების სამართავ სისტემებში;

ვებ ინტერფეისის ვიდეო-აუდიო Timeline-ზე მონტაჟის საბაზო ფუნქციონალს უნდა ჰქონდეს არანაკლებ შემდეგი შესაძლებლობები: უწყვეტი აღწარმოება კადრის სიზუსტით, აღწარმოება პირდაპირი და უკუმიმართულებით(კადრით), აღწარმოება ცალკეული კადრებით, სამონტაჟო მარკერების შეუზღუდავი მინიშვნა (mark-in, mark-out), მედიის თაიმლაინზე ჩასმა ჩამატების ან ჩანაცვლების გზით (insert, overwrite), მედიის ტრიმირება, სეგმენტის შეცვლა, ამოჭრა, სწრაფი გადასვლის ეფექტის დადება, სეგმენტების თაიმლაინზე გადაადგილება და სხვა.

აუდიოს რედაქტირების ინსტრუმენტი უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ: აუდიო მიქშერს ხმის ცალკეული ტრეკების დონეების და პანირების საშუალებით, დამოუკიდებლად თაიმლაინის ნებისმიერი მონაკვეთისათვის.

უნდა იყოს უზრუნველყოფილი მუშაობა ერთად და ცალ-ცალკე სხვადასხვა აუდიო ტრეკთან: მედიის ორიგინალური ხმები, Natural Sound, კადრსმილმა ხმა (VO). ამასთან აუცილებელია VO ფუნქციონალი ჰქონდეთ როგორც ოფისის ასევე მომორებულ მომხმარებლებს. VO ჩაწერისას უნდა იყოს შესაძლებელი ვიდეო აღწარმოების მართვა. ჩაწერილი VO ხმა ავტომატურად უნდა იგზავნებოდეს ცენტრალურ სანახ სისტემაში, და

საჭიროების შემთხვევაში იყოს წვდომადი სისტემის მომხმარებლებისათვის. სისტემას უნდა ჰქონდეს ხმის დონეების ავტომატური რეგულირების ფუნქციონალი.

მუშაობის შედეგად შექმნილი სამონტაჟო მიმდევრობები (სამონტაჟო სიები) საჭიროების შემთხვევაში მყისიერად წვდომადი უნდა იყოს სხვა მომხმარებლებისათვის, მათ შორის მემონტაჟებისათვის, მუშაობის გასაგრძელებლად.

ფუნქციონალში უნდა შედიოდეს მედიის ყველა ასპექტის მართვის შესაძლებლობები, მათ შორის მზა სიუჟეტების გაგზავნა სტუდიაში აღწარმოებაზე, მზა სიუჟეტის და მასთან დაკავშირებული მასალების პუბლიკაცია ვებზე, სოციალურ მედიაში და მობილურ აპლიკაციებში. სისტემა უნდა აგროვებდეს მზა საინფორმაციო თემასთან დაკავშირებულ ყველა მასალას ერთ ინტერფეისში მათი სწრაფი და მოხერხებული პუბლიკაციისათვის.

გუნდური მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მომხმარებლებს, მათი როლების შესაბამისად, მიენიჭოთ კონკრეტული ულებები და მიეცეთ დავალებები. ჟურნალისტების, წამყვანების, მკვლევარების, რედაქტორების, გრაფიკოსების და გუნდის სხვა მონაწილეებს დავალებების ავტომატური შეტყობინებებით.

კრაფტ მონტაჟის ინტეგრაცია PAM

სამონტაჟო კლიენტი სისტემებს უნდა შეეძლოთ ცალ-ცალკე თუ ერთობლივად იქონიონ წვდომა და ინდივიდუალურად თუ ერთობლივად იმუშაონ სიუჟეტების საბოლოო ვერსიებზე. სამონტაჟოს ინტერფეისში ინტეგრირებული მედია მენეჯმენტის ინსტრუმენტებს უნდა შეეძლოთ მოძებნონ საჭირო მასალები და გადაიტანონ ისენი თავის სამონტაჟო ფოლდერში. მემონტაჟეს უნდა შეეძლოს ეძებოს მედია, კლიპები, ან სამონტაჟო მიმდევრობები სხვადასხვა პარამეტრებით, არანაკლებ კლიპის სახელით, მისი შექმნის დროით, ან ნებისმიერი სხვა ასეტთან ასოცირებული მეტამონაცემით. მაგალითად ამოარჩიოს ბოლო წუთებში შექმნილი ყველა კლიპი ან გაფილტროს რამე კონკრეტულ კატეგორიის ყველა კლიპი PAM ბაზიდან.

შეთავაზებული კრაფტ-მონტაჟის სისტემა უნდა სპეცილურად იყოს შექმნილი და ოპტიმიზირებული ახალი ამბებისა და სპორტის წარმოებისათვის და მჭიდროდ იყოს ინტეგრირებული როგორც PAM სისტემასთან ასევე შემოთავაზებულ ნიუსრუმის სისტემასთან NRCS.

უშუალოდ მონტაჟის სისტემიდან შესაძლებელი უნდა იყოს ადვილად მოიძებნოს სიუჟეტის ტექსტი, მისი სახელის ან კოდის მიხედვით. მისი ხანგრძლივობა ავტომატურად უნდა აისახოს სისტემის თაიმლაინზე ვიდეო-აუდიოს და ტექსტის ერთმანეთთან ადვილი დასინქრონებისათვის.

სტუდიური აღწარმოება

დასრულებული სამონტაჟო მიმდევრობები უნდა გაიგზავნოს სტუდიური აღწარმოების სისტემაში ახალი ამბების სააპარატოში. ამის გაკეთება უნდა იყოს შესაძლებელი როგორც

უშუალოდ სამონტაჟო პროგრამიდან ასევე PAM სისტემის ვებ ინტერფეისიდან. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპამდე, როგორც მოსალოდნელია, კრაფტ-მონტაჟის და ვებ-მონტაჟის სისტემები იყენებდნენ საწყის ორიგინალურ კლიპებს და სამონტაჟო პოინტერებს (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭირო იყო რენდერი ახალი ვიდეოს შესაქმნელად გრაფიკის დადების ან გადასვლის ეფექტისათვის ან სხვა). ამ ეტაპზე, კლიპების სტუდიურ სერვერებში პუბლიკაციის დროს აუცილებელია ამ პროცესის სტატუსის ამსახველი ფანჯარა და ასევე სტუდიურ სერვერებს უნდა ჰქონდეთ ფუნქციონალი დაუკრან მასალა მისი პუბლიკაციის მიმდინარეობის დროს (play while transfer).

აუცილებელია, რომ სერვერებს შეეძლოთ როგორც დაკვრა ისე მედიის ჩაწერაც, თუმცა აუცილებელია აღწარმოების სერვერის დანიშნულება სისტემაში იყოს განსაზღვრული და არ იცვლებოდეს.

აღწარმოების სერვერებზე ატვირთული კლიპების დაკვრას უნდა მართავდეს სპეციალური სისტემა, რომლის პროგრამული უზრუნველყოფა მჭიდროდ უნდა იყოს ინტეგრირებული შემოთავაზებულ NRCS სისტემასთან. ამასთან აუცილებელია სისტემამ NRCS-ში არსებული ახალი ამბების გამოშვების მიმდევრობის(rundown) მიხედვით ავტომატურად შექმნას მისი შესაბამისი ფლეილისტი.

აღწარმოების სისტემას უნდა შეეძლოს ერთდროულად და შეთანხმებულად აკონტროლოს რამდენიმე სერვერი და მისი პორტი.

ფლეიაუთ სერვერებს უნდა ჰქონდეთ PWT ანუ აღწარმოება ტრანსფერის დროს ფუნქციონალი, ნაწილობრივ გადაწერილი კლიპების დასაკრავად. უნდა იყოს შესაძლებელი აღწარმოება დაიწყოს კლიპის გადაწერის პროცესის დაწყებიდან რამოდენიმე წამში და არ იყოს საჭირო დალოდება სანამ გადაწერა-პუბლიკაცია დასრულდება. ეს ამცირებს მონტაჟიდან პირდაპირ ეთერამდე გასულ დროს.

ფლეიატის კონტროლის სისტემა უნდა აკონტროლებდეს არა მარგო აღწარმოების ვიდეო სერვერებს, არამედ გრაფიკულ სერვერებსაც და სხვა სისტემებს. სისტემა უნდა შედგებოდეს რამდენიმე სამუშაო სადგურიდან და ადგილიდან, სხვადასხვა ფლეილისტის საკონტროლებლად.

მაგალითად საჭიროა, რომ ავტომატურად NRCS სისტემის Rundown მიმდევრობიდან დაგენერირებული ფლეილისტი გაჩნდეს ორ სამუშაო სადგურში რომლებიც დამოუკიდებლად მართავენ აღწარმოების სერვერებს და გრაფიკულ სერვერებს, რაც მართვას გაყოფს ორი სამუშაო ადგილის მიხედვით. ამავე დროს აუცილებელია, რომ ამ სამუშაო სადგურიდან ნებისმიერს შეეძლოს ორივე ფლეილისტის(ვიდეო და გრაფიკა) მართვის შეთავსება ნებისმიერ მომენტში, საჭიროების დროს.

NRCS სისტემა

ნიუსრუმის მართვის კომპიუტერული სისტემა (NRCS) უზრუნველყოფს ჟურნალისტებს, რედაქტორებს, მკვლევარებს და სხვებს ტექსტებთან მუშაობის ყოვლისმომცველი ინსტრუმენტებით. მისი მეშვეობით ხდება ახალი ამბების ტექსტუალური ნაწილის შექმნა და მართვა, წამყვანების ტექსტების, სიუჟეტების ტექსტების და სხვათა ჩათვლით. სისტემას აქვს მჭიდრო ინტეგრაცია წარმოების ვიდეო-აუდიო სისტემებთან, რაც უნდა უზრუნველყოფდეს ტექსტებისა და ვიდეო-აუდიოს ადვილ და ლოგიკურ დამუშავებას და გაერთიანებას.

ახალი ამბების მთავარი რედაქტორის დილის თათბირის შედეგად დგინდება მიმდინარე დღის მთავარი ახალი ამბების თემატიკა. ამ ინფორმაციის გამოყენებით სისტემაში იქმნება ამბების საწყისი სია Run-down. მასში ასახული ყველა ამბავი და მათი შემადგენელი ნაწილი თანდათანობით ივსებიან მონაცემებით დღის განმავლობაში. ყველა ამბავს აქვს თავისი უნიკალური ნომერი. ყოველთვის შესაძლებელია ახალი ამბების დამატება, არსებულის წაშლა, მიმდევრობის შეცვლა და სხვა. დღის განმავლობაში ახალი ამბების განვითარების შესაბამისად იცვლება run-down-იც. ყოველი მომდევნო ახალი ამბების გამოშვების მზადება იწყება შესაბამისი run-down-ის შექმნით.

მუშაობის გაადვილების და შეცდომების შემცირებისათვის NRCS ფუნქციებთან წვდომა შესაძლებელია, როგორც შესაბამისი ვებ აპლიკაციის მეშვეობით, ასევე სპეციალური სტუდიური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, ასევე PAM სისტემის ინტეგრაციიდან და სამონტაჟო სისტემების ინტერფეისიდან, სადაც მაგალითად ხდება ახალი ამბების სიუჟეტის სახელისა და მისი კლიპების იდენტიფიკატორების გამოყენებით კლიპების ავტომატური მიღება. ასეთი მიდგომა ამცირებს ადამიანურ შეცდომებს.

აღწარმოება ცენტრალურ საეთეროში

დღის განმავლობაში (როგორც წესი ღამის ბოლო გამოშვებები) ეთერში გადის მთლიანი დამონტაჟებული სახით პირდაპირ ცენტრალური საეთეროს სისტემიდან. ამისათვის აუცილებელია ახალი ამბების სისტემას შეეძლოს არჩეული მიმდევრობით დააკომპილიროს და დაარენდეროს შესაბამის ფორმატში ერთი ან მეტი კლიპი და უზრუნველყოს მათი ავტომატური გადაწერა და რეგისტრაცია საეთერო ავტომატიზაციის სისტემაში. ამ დროს მედია უნდა შეიფუტოს MXF OP1a ვრაპერში.

არქივაცია

აუცილებელია, ახალი ამბების გამოშვებები, ცალკეული სიუჟეტები და მედია მასალები გაიგზავნოს ციფრულ არქივში შესანახად.

აუცილებელია, რომ შეთავაზება შეიცავდეს და იყოს გარანტირებული მჭიდრო ინტეგრაცია საარქივო სისტემებთან. აუცილებელია მედია მასალებისა და მეტამონაცემების მიმოცვლის

ორმხრივი საშუალებები წარმოებისა და არქივირების სისტემებს შორის. მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ეძებონ მასალები PAM სისტემაშიც და არქივში იმავე ინტერფეისიდან.

არქივირების სისტემამ უნდა უზრუნველყოს მასალების შენახვა შესაბამის სანახ სისტემებში. არქივირება უნდა ხდებოდეს არანაკლებ მასტერ კლიპების, საბ-კლიპების, სამონტაჟო მიმდევრობების და მეტამონაცემების. ასელების მიმოცვლა უნდა ხდებოდეს PAM სისტემისა და არქივის სისტემას შორის HSM სისტემის მეშვეობით, ხოლო საარქივო სანახი სისტემა იქნება LTO-ს ტიპის. სისტემებს უნდა შეეძლოთ ინტეგრაციის გზით იქონიონ აქტუალური ინფორმაცია კონტენტის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ავტომატურად აწარმოონ კონტენტის მიმოცვლა. არქივში დადასტურებულად შენახული მედიის ნაწილის ასლები შესაძლებელია იშლებოდეს ადგილის დაზოგვის მიზნით.

არქივირების დროს, როგორც არქივირების აუცილებელი ეტაპი, მედია უნდა იფუთებოდეს MXF OP1a კონტეინერში. საწარმოო რეზოლუციის (hi-res) მედია ფაილებთან ერთად უნდა იყოს გარანტირებული მედიის დაბალი ბიტრეიტის (low-res) ასლების ავტომატური გენერაცია და შენახვა ცენტრალურ სანახ მასივშიც და არქივშიც. Low-res მედია უნდა მუდმივად რჩებოდეს ყველა მომხმარებლისათვის მყისიერად წვდომადი და უნდა იყოს უზრუნველყოფილი ამ მედიის გამოყენება მონტაჟის თუ სხვა მიზნებისათვის.

მაღალი გარჩევადობის hi-res მედიის არქივიდან აღდგენის საჭიროების დროს მომხმარებელს უნდა შეეძლოს ამ პროცესის ინიცირება PAM სისტემის მომხმარებლის ინტერფეისიდან. აუცილებელია იყოს საშუალება მედია აღდგეს არქივიდან ნაწილობრივ, მითითებული ტაიმკოდების მიხედვით (partial restore).

ინტეგრაცია სოციალურ მედიასთან

PAM სისტემას უნდა ჰქონდეს სოციალურ მედიასთან ურთიერთქმედების ფუნქციონალი. უნდა მუშაობდეს სისტემებთან Facebook, YouTube, Instagram, Twitter და სხვებთან. სისტემას უნდა შეეძლოს ეძებოს ინსტაგრამში ჰაშტაგების მიხედვით, მოახდინოს კონტენტის ფილტრაცია გეოლოკაციის მიხედვით, მოძებნოს ფეისბუქის პოსტების ყველა კომენტარი. უნდა შეეძლოს მედია(ვიდეო კლიპები) ჩამოტვირთოს უშუალოდ ფეისბუქიდან, ტვიტერიდან. ასევე უნდა ჰქონდეს მხარდაჭერა სხვა პლატფორმების, მაგალითად Flickr და იმელით მიღებული მასალების.

სისტემის ამ ფუნქციონალზე წვდომის უფლებრივი განაწილებისათვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი მომხმარებლების შესაბამისი მენეჯმენტი.

სისტემის აუცილებელ ფუნქციონალში უნდა შედიოდეს სოციალური მედიის შემომავალი ვიდეების მონიტორინგი, ფილტრაცია, მოდერაცია, პრიორიტეტების მინიჭება და სხვა. რათა ეფექტურად გამოვლინდეს მიმდინარე დროს რა თემებზე საუბრობს და რას აზიარებს აუდიტორია.

სისტემის აუცილებელ ფუნქციონალში უნდა შედიოდეს მედიის დისტრიბუციის საშუალება მრავალ პლატფორმაზე. კერძოდ მომზადებული სიუჟეტის მედია და მასთან დაკავშირებული ყველა ტექსტუალური თუ გრაფიკული მონაცემები უნდა ავტომატურად(მომხმარებლის კონტროლის საშუალებით) იკრიბებოდეს პაკეტებად და ქვეყნდებოდეს არა მარტო ახალი ამბების სატელევიზიო გამოშვებაში არამედ სხვა პლატფორმებზეც - სოციალურ მედიაში, ვებსაიტებზე, მობილურ აპლიკაციებში და სხვა. ამისათვის უნდა არსებობდეს ავტომატიზირებული სამუშაო პროცესები, რათა მედია ფაილები გადაყვანილები (რენდერი და სხვა) იყვნენ კონკრეტული პლატფორმის სტანდარტში/ფორმატში და ისე გამოქვეყნდნენ თანმხლები მეტამონაცემებით პაკეტში.

სისტემის მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ ინტეგრირებული ინტერფეისები PAM და NRCS სისტემებთან, რომლის მეშვეობით ადვილად და მოხერხებულად უნდა ხდებოდეს მრავლობითი პლატფორმებისათვის შესაბამისი ფორმატის და კონტენტის პაკეტების მომზადება, კონკრეტული პლატფორმების შაბლონების მიხედვით. იყოს საშუალება ადვილად აირჩეს შაბლონი და მოხდეს ერთ ფანჯრაში მისი შესაბამისი პაკეტის შეკვრა და რედაქტირება, ასევე სასურველი ვიდეო კლიპების და ფოტოების მიმაგრება. პლატფორმების შესაბამისად უნდა ხდებოდეს პუბლიკაციის წინასწარ განსაზღვრული დროის და/ან გრაფიკის მიხედვით ატვირთვა. მაგალითად აუცილებელი იყოს, რომ ვებსაიტზე მედია აიტვირთოს მანამდე სანამ ეთერში გავა ან პირიქით.

მასალების პლატფორმებზე პუბლიკაციის სამუშაო პროცესი აუცილებელია შეიცავდეს პუბლიკაციის დადასტურების მექანიზმს. ამ მიზნით მთავარ რედაქტორს ან სხვა პასუხისმგებელ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს საშუალება სრულად ნახოს გამზადებული პაკეტი და ან დაადასტუროს ან უარყოს იგი და საჭიროების შემთხვევაში დააბრუნოს მზადების ეტაპზე. მას შემდეგ, რაც პაკეტი დადასტურებულია ის უნდა ავტომატურად აიტვირთოს შესაბამის პლატფორმაზე გრაფიკის მიხედვით. აღწერილი ფუნქციონალი უნდა ფარავდეს ინტეგრაციას არანაკლებ: ვებსაიტების CMS, სოციალური მედია Facebook, Instagram, Twitter და YouTube სისტემებს.

პუბლიკაციის სისტემას უნდა შეეძლოს მოამზადოს და გამოაქვეყნოს კონტენტი(პაკეტები) ვებ საიტებზე ზოგადი პროტოკოლების და ფორმატების გამოყენებით. კერძოდ სისტემას უნდა ჰქონდეს სპეციალური ფუნქციონალი ჩამოწმებული ვებ კონტენტის რედაქტირებისათვის, რითაც შეიძლება ტექსტის წერა-ფორმატირება და ვიდეო და ფოტომასალების დამატება. ასე გამზადებული პუბლიკაციებიც აუცილებლად უნდა გადიოდნენ დადასტურების აღწერილ პროცესს.

გრაფიკული შეფუთვის შექმნა

შემოთავაზება უნდა შეიცავდეს გრაფიკული ავტორიზაციის საშუალებებს, რომელიც აძლევს საშუალებას დიზაინერებს შექმნან ახალი გრაფიკული ელემენტები, მათგან შემდგარი სცენები და შაბლონები. გრაფიკული დიზაინის აპლიკაციას უნდა ჰქონდეს ფუნქციონალი იმპორტის მეშვეობით გახსნას სხვა აპლიკაციებში შექმნილი პროექტები, სცენები და

ობიექტები, აუცილებელია იმპორტი სისტემებიდან არანაკლებ: After Effects, Photoshop, 3ds Max, Maya და სხვა.

დიზაინერები უნდა მუშაობდნენ თავიანთ ჩვეულებრივ სამუშაო სადგურზე, სპეციალური სარენდერო სერვერებისა თუ ფერმების გარეშე.

სისტემას უნდა ჰქონდეს საშუალება აიგოს უსასრულო გრაფიკული შრეების მქონე სცენები. შრეებს ინდივიდუალურად უნდა ჰქონდეთ 2D / 3D შესაძლებლობები. შრეებისათვის ცალცალკე უნდა იყოს შესაძლებელი სხვა, მაგალითად კამერის პარამეტრების მინიჭება.

უნდა იყოს შესაძლებელი შეიქმნას რემოდენი მე ერთდროული ანიმაციის თაიმლაინი, რომელთა აღწარმოება შეიძლება დამოუკიდებლად ცალცალკე. უნდა იყოს შესაძლებელი ანიმაციების მარტივი რედაქტირება და მართვა სპლაინების რეჟიმის ჩათვლით.

სისტემის არქიტექტურა უნდა აძლევდეს საშუალებას გრაფიკის დიზაინერებს ადვილად გააზიარონ დამზადებული სცენები და სხვა ასეტები. გაზიარება უნდა ხდებოდეს უბრალოდ ქსელური გახსნილი ფოლდერებით და ასევე აუცილებლად PAM სისტემის მეშვეობით. დიზაინერებს უნდა შეეძლოთ გააზიარონ სცენები და ასეტები უშუალოდ თავიანთი რედაქტორიდან.

გრაფიკულ ფოლდერებთან წვდომა უნდა იყოს შესაძლებელი იგივე მომხმარებლის ინტერფეისიდან რაც PAM და NRCS სისტემებზე.

სისტემას მხარდაჭერილი უნდა ჰქონდეს ყველა ლოკალური შეყვანის(input locale) მეთოდი და ლოკალიზირებული ფონტები, რომელთა მეშვეობით შეიძლება შეიქმნას ტრადიციული CG სტილის ასევე 2D / 3D გეომეტრიის ანიმირებული ტექსტები ტექსტი. მხარდაჭერილი უნდა იყოს გამოსახულების დეტალიზაციისა და ტექსტის ობიექტების ზომების მიხედვით ფონტების შესაბამისი რეზოლუციები, ტექსტის ყოველთვის ხარისხიანი ასახვისათვის.

აუცილებელია იყოს უზრუნველყოფილი სხვადასხვა სცენების პარამეტრების ერთმანეთზე დაკავშირება, რათა მოხდეს სხვადასხვა სცენაში აზრობრივად დაკავშირებული ობიექტების პარამეტრების შეთანხმებული ცვლილებები. მაგალითად თუ რამე რიცხვითი სიდიდის ამსახველი გრაფიკული ელემენტის დიანამიური მნიშვნელობა შეიცვლება დადებითიდან უარყოფითზე და შესაბამისად შეიცვლება მისი ფერი მწვანეიდან წითელზე (მაგალითად რამე ფინანსური მონაცემების გამოყვანის დროს) მაშინ სხვა სცენაში შესაბამისად ავტომატურად შეიცვალოს ზრდა/კლების მაჩვენებელი ისრის მიმართულებაც, ფერიც და მასთან დაკავშირებული პროცენტიც.

ასევე უნდა იყოს შესაძლებელი პარამეტრების მათემატიკური ფორმულებით დამუშავება და შესაბამისად რიცხობრივი და სხვა პარამეტრების ავტომატური ცვლა. მაგალითად ამინდის პროგნოზის გამოყვანის დროს ტემპერატურის ან წნევის ცვლილება ავტომატურად ცვლიდეს ამ პარამეტრების გრადიენტების ფერს, დამატებითი მომხმარებლის ჩარევის გარეშე.

გრაფიკული სისტემას უნდა მხარდაჭერა ქონდეს ყველა გავრცელებული გრაფიკული ფორმატებისა, კერძოდ არანაკლებ: png, jpeg, tiff, tga და სხვა, მათ შორის აუცილებელია

გამოსახულების ფორმატები ჩანერგილი ალფა-არხებით. ამ ფორმატების ფაილების მეშვეობით უნდა იყოს შესაძლებელი სცენის ნებისმიერი ობიექტის ზედაპირზე მოხდეს შემოყვანილი ფაილის დადება ტექსტურის სახით (არანაკლებ სამი სხვადასხვა ტექსტურა ერთ ზედაპირზე ერთდროულად), ასევე ტექსტურის სახით ობიექტების ზედაპირზე უნდა იყოს შესაძლებელი ნებისმიერი ლაივ თუ კლიპი ვიდეოს დადება.

ზოგადად, უნდა იყოს შესაძლებელი ნებისმიერი ლაივ ვიდეო და/ან ვიდეო კლიპის პროექცია მოხდეს სცენის ნებისმიერი ფორმის ობიექტზე (ორივე 2D და 3D) და მოხდეს სცენით შემდგომი მანიპულირება.

სხვა გრაფიკული ავტორინგის სისტემებიდან იმპორტის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს საწყისი ფაილის ყველა პარამეტრის გათვალისწინება. ასე მაგალითად აუცილებელია ფოტოშოპის იმპორტის დროს მისი შრეები ასევე დაემატოს სცენას დამოუკიდებელი შრეების სახით, მათი ცალცალკე რედაქტირებისათვის.

დამატებით აღწერილისაგან, უნდა იყოს უზრუნველყოფილი არანაკლებ შემდეგი ფაილების ფორმატების იმპორტი: pdf, ppt, svg, vrmf და სხვები.

გრაფიკულ რედაქტორს უნდა შეეძლოს შექმნას ინტერაქტიული კონტენტი/სცენები პროგრამირებისა თუ გარე სკრიპტების გამოყენების გარეშე. სცენის ობიექტებისათვის უნდა იყოს შესაძლებელი ინტერაქტიული პარამეტრების მითითება (როგორც რიცხვითი ასევე ტექსტუალური) და განისაზღვროს მათი ქვევის წესები ამ პარამეტრების ცვლის დროს.

სცენებს და ობიექტებს უნდა ჰქონდეთ შიდა ტრიგერები რომლების რეალურ დროში მონიტორინგით სცენა ცვლის თავის პარამეტრებს.

სისტემაში დიზაინერს უნდა ჰქონდეს საშუალება მოახდინოს სცენის ელემენტების მაფინგი სხვა ობიექტებზე, რათა ისენი ვიდეო ეფექტების ნაწილი გახდნენ.

სისტემას უნდა ჰქონდეს შეიდერების მხარდაჭერა, რთული გრაფიკული ეფექტების რეალიზაციისათვის, არანაკლებ: blurring, depth of field, advanced materials და სხვა.

ახალი ამბების სტუდიის გრაფიკა

შემოთავაზებაში უნდა შედიოდეს სტუდიის სააპარატოს გრაფიკის მართვის სისტემა. სისტემა უნდა იყოს მჭიდროდ ინტეგრირებული NRCS და PAM სისტემასთან, იღებდეს მისგან გამოშვების rundown-ს და ახორციელებდეს მისი გრაფიკული ნაწილის მართვას პირდაპირ ეთერში. თავის მხრივ NRCS-ში ინტეგრირებული გრაფიკული სისტემის მართვის ფუნქციონალი უნდა აძლევდეს ჟურნალისტებს, გრაფიკოსებს და მემონტაჟეებს გამოიყენონ გრაფიკული შაბლონები მათი მონაცემთა ბაზიდან. აგრეთვე უნდა იყოს შესაძლებელი იმართოს სტუდიის გრაფიკის ხდომილებები, rundown-ის მიხედვით.

სისტემამ უნდა უზრუნველყოს მრავალი შაბლონის ერთდროული გამოყვანა მაუწყებლობის ერთი არხით, მოახდინოს მათი ურთიერთ დადება შრეების რიგითობის მიხედვით. ამ

ფუნქციონალისათვის აუცილებელი ვირტუალური არხების რაოდენობა უნდა იყოს არა ნაკლებ 255.

სისტემა უნდა იმართებოდეს როგორც მომხმარებლის საკუთარი ინტერფეისით ასევე გარედან სტანდარტული პროტოკოლებით. მხარდაჭერილი უნდა იყოს არანაკლებ: VDCP და CII (III).

უნდა იყოს შესაძლებელი რამოდენიმე rundown-ის ერთდროული გახსანა და ასახვა ინტერფეისში და მათი ხდომილებების აღწარმოება ნებისმიერი მიმდევრობით.

ხდომილებებს უნდა ენიჭებოდეთ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც შეიძლება მომხმარებელმა გამოიყენოს ძეზნის ან გაშვებისათვის. ნებისმიერ ხდომილებას შეიძლება მიენიჭოს სწრაფი მართვის კლავიშები(hot key).

სისტემას უნდა შეეძლოს ერთდროულად მართოს არანაკლებ 15 დამოუკიდებელი აღწარმოების არხი, ერთი მომხმარებლის ინტერფეისიდან.

გრაფიკულ სისტემას უნდა შეეძლოს ერთდროულად გამოიყვანოს რამოდენიმე მორბენალი სტრიქონი, სხვადასხვა კონტენტით, სიჩქარით და მოძრაობის მიმართულებით. გრაფიკის მართვის ინტერფეისს უნდა ჰქონდეს მათი მართვის ფუნქციონალი.

სისტემას უნდა შეეძლოს ოპერატიულად კონტენტში/გრაფიკაში ცვლილებების შეტანა მათ შორის ეთერში გასვლამდე ბოლო წუთებზე.

უნდა იყოს შესაძლებელი მონაცემების მიღება გარე წყაროებიდან - ფაილებიდან და მონაცემთა ბაზებიდან. მხარდაჭერილი უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემთა წყაროები: RSS, SQL, ODBC, text file, Excel file. ახალ მონაცემთა წყაროსთან შეერთება უნდა იყოს შესაძლებელი ე.წ. wizard-ით. დაკავშირების შემდეგ, სცენა(ობიექტი) უნდა ინახავდეს შეერთების პარამეტრებს და მომხმარებლის ბრძანების შესაბამისად ავტომატურად აახლებდეს მონაცემებს.

გრაფიკული შეფუთვის მთელი პროცესი დაწყებული ობიექტების და სცენების დიზაინით, შემდეგ მათი რეგისტრაციით მონაცემთა ბაზაში და MRCS/PAM სისტემებში და შემდგომი მათი გამოყენება უნდა იყოს შესაძლებელი დამატებითი პროგრამირებისა და სკრიპტების წერის გარეშე.

ეთერში გრაფიკის მართვის სისტემას უნდა ჰქონდეს საშუალება იმართებოდეს გარე პროგრამირებადი სპიცილური კლავიატურით არანაკლებ შემდეგი ფუნქციებით: ნავიგაცია rundown-ში, გრაფიკის სცენის ან ცალკეული ხდომილების load/unload, preview/cue/play/stop, recall specific graphic ID(ხდომილების გამოძახება მისი კოდის მიხედვით).

გრაფიკული კონტენტის ინტერაქტიულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი დამატებითი საკონტროლო აპარატურის გარეშე.

ინტეგრაცია NRCS სისტემასთან სხვასთან ერთად უნდა უზრუნველყოფდეს ცენტრალური მონაცემთა ბაზის, სადაც გრაფიკული შაბლონებია შენახული, კონტენტის ნახვას და ძეზნას.

ამასთან ნიუსრუმში გამოყენებული შაბლონების ფორმატები არ უნდა განსხვავდებოდეს სხვა შემთხვევებში გამოყენებული ფორმატებიდან. ამასთან გრაფიკული ფუნქციონალის გამოყენება უნდა იყოს შესაძლებელი ნიუსრუმის ნებისმიერი სამუშაო სადგურიდან, მოძრავი ლიცენზიის გამოყენებით.

NRCS-ში მუშაობისას მომხმარებელი უნდა ვიზუალურად ხედავდეს არჩეული შაბლონის გამოსახულებას. ეს პრევიუ გამოსახულება უნდა შეიცავდეს მათ შორის მომხმარებლის მიერ შეყვანილ აქტუალურ ტექსტს. ამასთან გამოსახულების გამოყვანას არ უნდა ჭირდებოდეს რამე გარე რენდერის ან სხვა რესურსი.

კომუნიკაცია NRCS სისტემასა და გრაფიკულ სისტემას შორის არ უნდა საჭიროებდეს დამატებით აპარატულ ან პროგრამულ რესურსებს, მათ შორის დამატებით პროტოკოლებს.

NRCS სისტემაში გრაფიკულ ინფორმაციაში შეტანილი ცვლილებები, მათ შორის პირდაპირი ეთერის დროს, უნდა ან მყისიერად ისახებოდეს სააპარატოს გრაფიკის მართვის ოპერატორის ინტერფეისში ან უნდა აძლევდეს ოპერატორს გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, თუ როდის ასახოს ცვლილებები.

სააპარატოს გრაფიკის კონტროლერი კომპიუტერები უნდა იღებდნენ ერთდროულ რამოდენიმე rundown-ს NRCS-დან. და შეეძლოთ ერთდროულად გამოიყენონ ისინი, მათ შორის ლოკალურად შექმნილი rundown-ებთან ერთად.

ინტეგრაციის სამუშაოები და სერვისები

აღწერილი სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა უნდა დაინსტალირდეს და ამუშავდეს დამკვეთის მიერ გამოყოფილ სერვერულ რესურსებზე. დასაშვებია, როგორც ფიზიკური სერვერების ასევე ვირტუალიზაციის გამოყენება. სისტემებისა და მონაცემთა ბაზების მუშაობისათვის აუცილებელი ტექნიკური სერვერული რესურსების მინიმალური და რეკომენდირებული მოთხოვნები და მათი გაანგარიშების მეთოდები/სქემები უნდა შედიოდეს შეთავაზებაში, შესაბამისად უნდა იყოს მოცემული სერვერული რესურსების მოთხოვნის ტექნიკური არგუმენტაცია, კერძოდ იყოს დეტალურად დასაბუთებული კონკრეტული სერვისებისათვის მოთხოვნილი არანაკლებ CPU/CORE, RAM, Disk space / Storage capacity/bandwidth პარამეტრები. შემსყიდველი, მოთხოვნის შესაბამისად გადასცემს მიმწოდებელს მის საკუთრებაში არსებული სერვერული ტექნიკის პარამეტრებს. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ამ ტექნიკის ინსტალაცია, კონფიგურაცია, აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფა და მისი ამუშავება turn-key პრინციპით.

შეთავაზება უნდა შეიცავდეს ყველა სისტემის ინსტალაციას, კონფიგურაციას, მომხმარებლების და ადმინისტრატორების ტრენინგებს და ეთერში ჩაშვებას.

შემოთავაზება უნდა შეიცავდეს დაგეგმილი სამუშაო პროცესების დეტალურ აღწერას (workflow definition) და მათ ლოგიკურ სქემებს.

შემოთავაზება უნდა შეიცავდეს ყველა პროდუქტის და სისტემის ტრეინინგებს მათი დეტალური სიის მითითებით.

შემოთავაზებაში შემავალი PAM სისტემა, ცენტრალური დისკური სანახი მასივი, ინჯესტი/ფლეიაუთის სპეციალიზირებული მედიასერვერები/სისტემები და ვიდეო სამონტაჟო პროგრამული სისტემა - აუცილებელია იყოს ერთიდაიგივე მწარმოებლის/ბრენდის.

ტექნიკური პარამეტრები და აღწერები

1.0	<p>ცენტრალური სანახი სისტემა</p> <p>მედია ფაილების სპეციალიზირებული სანახი სისტემა. უზრუნველყოფს უწყვეტ სამუშაო პროცესს და ერთდროულად ემსახურება PAM, NRCs, Ingest, Payout, NLE სისტემებს და მომხმარებლებს.</p> <p>მედია სამუშაო ფორმატი – HD 1080i 50: XDCAM HD 50</p>	
ა)	<p>ენტერპრაის კლასის shared-storage მონაცემთა სანახი სისტემა. აგებული მოდულური, ადვილად გაფართოებადი, მაღალი საიმედოობის არქიტექტურის, უწყვეტი 24/7/365 რეჟიმით მომუშავე, ახალი ამბების წარმოების და მაუწყებლობის უზრუნველსაყოფად.</p>	
ბ)	<p>სანახი სისტემა უნდა იყოს დადასტურებულად მედია (ვიდეო-აუდიო) სპეციფიური არქიტექტურის.</p>	
გ)	<p>მაღალი საიმედოობით დაცული სანახი სისტემა საწყისში უნდა იტევდეს არანაკლებ 20,000 სთ (ოციათასი საათი) მედიას ფორმატში Media Data Rate: 50 Mb/s. სანახი სისტემის საერთო წარმადობა არანაკლებ: system bandwidth 2,400 MB/s (ორიათასოთხასი მეგაბაიტი წამში)</p>	
ე)	<p>სისტემის დადასტურებული/ტესტირებული გაფართოების საშუალება:</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმადობა საკმარისი სამუშაოდ 4K და Ultra HD ფორმატებში; • არანაკლებ 300 ერთდროული ვიდეო კლიენტი; • არანაკლებ 2.2PB გამოყენებადი მოცულობა; • არანაკლებ 19.2 GB/s(ცხრამეტი და 2/10 გიგაბაიტი/წამში) წარმადობა; • არანაკლებ 10 მილიონი შენახული ფაილი; 	
ვ)	<p>ინდუსტრიის სტანდარტული Gigabit Ethernet ინფრასტრუქტურა. uncompressed HD გატარების მხარდაჭერა. არანაკლებ ორი 40Gb/s ინტერფეისებით.</p>	
ვ)	<p>“No single point of failure” არქიტექტურა მედია და მეტა მონაცემების</p>	

	მრავალმხრივი დაცვებით;	
თ)	სისტემის ყველა აქტიური კომპონენტი უნდა იყოს დუბლირებული და hot-swappable, მათ შორის არანაკლებ: სთორიჯის კონტროლერები, მედია დისკები, სისტემური დისკები და კვების ბლოკები;	
ი)	დისკის შეცდომების შემთხვევაში ავტომატური, ადმინისტრატორის ჩარევის გარეშე, მონაცემების სწრაფი აღდგენისა და სისტემის სწრაფი რებილდის პროცესი (fast drive rebuild);	
კ)	სანახი სისტემას უნდა ჰქონდეს არანაკლებ ორი (მთავარი და სათადარიგო) კონფიგურაცია და მან უნდა უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის სტრატეგია ყველა თავის კომპონენტში. უნდა იყენებდეს Windows ან Linux ოპერაციულ სისტემას და იყოს RAID და/ან software raid based system.	
ლ)	სისტემას უნდა შეეძლოს რესურსების ავტომატური უტილიზაცია და დატვირთვების გადანაწილება (load balancing)	
მ)	სისტემის ადმინისტრირება და სრულყოფილი მონიტორინგი უნდა ხდებოდეს სრულად ფუნქციონალური HTML 5 ინტერფეისით;	
ნ	სისტემას უნდა შეეძლოს მოცულობების დინამიური ალოკაცია და ისეთი ცვლილებები როგორცაა მომხმარებელთა სამუშაო სივრცეების მოცულობის ცვლილება ან მონაცემთა სარკისებური დუბლირება უნდა ხდებოდეს ადმინისტრატორის ინტერფეისიდან სისტემის სრულფასოვანი მუშაობის გაჩერების ან რესტარტის გარეშე;	
ო)	სისტემას უნდა შეეძლოს სინქრონიზაცია ინდუსტრიის სტანდარტულ ადმინისტრირების სისტემებთან, მაგალითა არანაკლებ Microsoft Active Directory;	
პ)	სისტემის ფაილებთან წვდომა უნდა ხდებოდეს რეალური საერთო მოხმარების პრინციპებით, მათ შორის სხვადასხვა პროცესების და მომხმარებლების ერთდროული წვდომა ერთიდაიგივე სივრცეებთან და მედია ფაილებთან;	

2.0	წარმოების ასეტების მართვის სისტემა (PAM) სამაუწყებლო დიდი მედია კორპორაციებისათვის სპეციალურად შექმნილი, დადასტურებულად მაღალი კლასის სისტემა გათვლილი 24/7/365 მუშაობაზე. სისტემას უნდა ჰქონდეს მჭიდრო ინტეგრაცია და საერთო ინტერფეისები არანაკლებ სისტემებთან: NRCS, Shared Storage, Ingest, Payout, NLE და არქივირების სისტემებთან;	
ა)	მხარდაჭერილი უნდა იყოს მედიის, სკრიპტების და სხვა ფაილების შენახვა, აღწერა, ძებნა, და სხვა, ფაილების ნატიურ სისტემებში	

	დამუშავების პირობებში.	
ბ)	აუდიო-ვიდეო მედიის რამდენიმე რეზოლუციაში პარალელური მენეჯმენტის საშუალება, საჭირო ფორმატების ავტომატური არჩევით;	
გ)	სამუშაო პროცესების მენეჯმენტის ფუნქციონალი;	
დ)	პოტენციურად დროით ტევადი პროცესების ავტომატიზაცია, მონიტორინგი და მართვა. მაგალითად ინკოდირება, ტრანსკოდირება და ფაილების მოძრაობა;	
ე)	მედია ასეტების მართვის სრულყოფილი ფუნქციონალი, არანაკლებ: <ul style="list-style-type: none"> • ასეტების რეგისტრაციის და მისი მოხსნის დრო; • რომელი მომხმარებლები რომელ ასეტებზე მუშაობენ; • ხდომილებების ლოგირება და მათი დეტალური ისტორია; • მედიის შესახებ კომენტარების დამატების საშუალება, მათ შორის მედიის რეგისტრაციისა და მისი გაუქმების მომენტებში; 	
ვ)	ბრაუზინგის საშუალება მთლიანი მონაცემთა ბაზების ფარგლებში, მათ შორის სხვადასხვა ქსელებში. სამონტაჟო სისტემებში ასეტების სწრაფი drag&drop საშუალებით;	
ზ)	Resilient Cluster ტიპის მონაცემთა ბაზის არქიტექტურა მრავალჯერადი დაცვებისა და ავტორიზაციის დონეებით და მომხმარებელთა უფლებების მენეჯმენტით;	
თ)	მონაცემთა ბაზის სტრუქტურაში არაპირდაპირი კავშირების ძებნის ადმინისტრატორის ფუნქციონალი, კრიტიკული ასეტების შემთხვევითი წაშლისაგან დაცვისათვის;	
ი)	ფაილური ასეტების ვერსიების ტრეკინგის სისტემა, როცა მომხმარებელს ნებისმიერ მომენტში შეუძლია დაუბრუნდეს ასეტის ძველი ვერსიებიდან ნებისმიერს;	
კ)	ღია API ინტერფეისი (უნდა შედიოდეს შემოთავაზებაში) სხვა სისტემებთან ინტეგრაციისათვის;	
ლ)	სისტემას უნდა ჰქონდეს მედია ფაილების სწრაფი კომენტარებისა და ლოგირების შექმნის საშუალება. ფაილის ჩაწერის(ინჯესტის) თუ დაკვრის დროს მომხმარებელს უნდა შეეძლოს შეიყვანოს შეუზღუდავი რაოდენობით ტექსტუალური კომენტარი (ნებისმიერ ენაზე) მიმდინარე კადრის ტაიმკოდის მითითებით ავტომატურად. მხარდაჭერილი უნდა იყოს არანაკლებ: fast-logging pre-built და custom marker-ები;	
მ)	მასალების ძებნის სრულყოფილი ინსტრუმენტი;	
ნ)	სამონტაჟო მიმდევრობის ძებნა, მართვა და ახლების შექმნა	

	ერთდროულად აქტიური და საარქივო მასალების გამოყენებით (შერეული რეზოლუციების მხარდაჭერა) მთავარი და საარქივო სტორიჯებს შორის გადასვლების გარეშე;	
ო)	მედია, ფაილების და მეტადატის სამუშაო ინტერფეისი და ფოლდერები უნდა იყოს ადვილად მორგებადი თითოეული მომხმარებლის სურვილის მიხედვით;	
პ)	PAM სისტემას უნდა ჰქონდეს მრავალი სანახი სისტემის ერთდროული მხარდაჭერის საშუალება;	
ჟ)	ინტერფეისი უნდა ადვილად იცვლებოდეს მომხმარებლის უფლებების მიხედვით. მასში, სხვა ფუნქციონალთან ერთად უნდა იყოს ე.წ. Elasticsearch ან მსგავსი ალგორითმების ტექნოლოგიით ძებნის საშუალება;	
რ)	ინტერფეისს უნდა ჰქონდეს თემაზე მომუშავე გუნდის წევრების დავალებების სწრაფი დარიგების საშუალება, რომელშიც ერთდროულად გამოჩნდება თემასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო;	
ს)	ინტეგრირებული ინსტრუმენტი, რომლითაც ხდება მასალების მოძიება, კონსოლიდაცია და მათი პუბლიკაცია სხვადასხვა პლატფორმაზე მათ შორის არანაკლებ: Facebook, Instagram, Twitter, Flickr), online video platforms (YouTube, Vimeo, Ooyala) და web content management systems (WordPress და სხვა), ასევე საკუთარი ვებსაიტების CMS სისტემებში.	

3.0	მედიის ინჯესტი	
ა)	ფიდური ინჯესტის(და/ან ფლეიაუტის) უნივერსალური სპეციალიზირებული მედიასერვერი Linux ან Windows ოპერაციული სისტემით. ერთ მედიასერვერში არანაკლებ 4-დან 8-მდე HD-SDI არხის დამოუკიდებელი და ერთდროული ჩაწერის შესაძლებლობით (ქვემოთ მითითებული ბიტრეიტებით). ჯამში არანაკლებ 16(თექვსმეტი) არხი ერთდროული ინჯესტი და არანაკლებ ორი მედიასერვერი(ბექაფირებისათვის).	
ა)	<ul style="list-style-type: none"> გამოსახულების სტანდარტის მხარდაჭერა შემავალ SDI სიგნალებში: 625 (PAL) ან 525 (NTSC) ხაზი, ოფციონალური იმბედირებული 48Khz, 24 bit აუდიო. SDI შემავალ და გამავალ სიგნალებში ვიდეო ფორმატის მხარდაჭერა არანაკლებ: HD - 1080i და 720p. 	

გ)	მედია მასალის ჩაწერა უნდა ხდებოდეს უშუალოდ ცენტრალურ დისკურ სანახზე ან ლოკალურ დისკებზე ერთდროული გადაწერით ცენტრალურ დისკურ სანახზე, მოცემულ ფორმატში. ფაილის მეტამონაცემების ატეროვა MAM სისტემაში უნდა მოხდეს ავტომატურად;	
დ)	მედია ფაილის ჩაწერის დაწყების შემდეგ მოკლე დროის ინტერვალში, ის წვდომადი უნდა იყოს ყველა გაზიარებული მომხმარებლისთვის.	
ე)	ფაილზე მუშაობის სრული ციკლის განმავლობაში შენარჩუნებული უნდა იქნეს საკუთარი ფორმატი Long GOP MPEG2, ისე რომ არ მოხდეს მისი ტრანსკოდირება.	
ვ)	ცენტრალური დისკურ სანახთან რამდენიმე ინჯესტ სერვერის ერთდროული შეერთების შესაძლებლობა.	
ზ)	“Edit While Capture(ingest)” ფუნქციონალის მხარდაჭერა NLE, სანახი მასივისა და PAM-ის მხრიდან;	
თ)	მარკერების და ტაიმკოდების დადება(მითითება, ლოგირება) ინჯესტის დროს;	
ი)	ავტომატიზაციის სისტემებთან თავსებადობა VDCP და BVW პროტოკოლების საშუალებით.	
კ)	ინჯესტის შაბლონების მხარდაჭერა, რომლის დროს ხდება დანიშნულების ფოლდერების და სამუშაო სივრცეების ავტომატური მინიჭება; crash recording მხარდაჭერა, default ფოლდერების განსაზღვრით;	
ლ)	მედიიდან ამორჩეული კადრების გამოსახვის მხარდაჭერა მედია მართვის სისტემებში.	
მ)	ჩასაწერი მედია ჯერ იწერება ინჯესტ სერვერის შიდა შემნახველ მოწყობილობაზე და შემდეგ ერთდროულად ხდება მისი კოპირება ცენტრალურ სანახ სისტემაში. სისტემის შიდა დისკებზე მედია ფაილების ავტომატური წაშლის რეჟიმის კონფიგურირება. ცენტრალური დისკური სანახის გავსების შემთხვევაში, სერვერმა უნდა გააგრძელოს ჩაწერა საკუთარი შემნახველი დისკების გავსებამდე. RAID სქემით დაცული ლოკალური სანახი, არანაკლებ 16(32)TB	

	ჯამური მოცულობა თითოეულ 4(8) პორტიან სერვერზე შესაბამისად;	
ბ)	Black-Burst და Tri-Level სინქრონიზაციის მხარდაჭერა.	
ო)	<p>დამატებითი ფუნქციონალი, მოწყობილობის საიმედოობის გასაზრდელად არანაკლებ:</p> <ul style="list-style-type: none"> • დუბლირებული ქსელური კავშირი. • დუბლირებული კვების ბლოკები Hot-swap მხარდაჭერით. • დისკები Hot-swap ჩანაცვლებით შესაძლებლობა • დუბლირებული (სარკისებურად) boot დრაივები, Hot-swap ფუნქციონალით. • ქულერები არანაკლებ N+1 დაცვის სქემით; 	
პ)	არანაკლებ 2 x 1Gb/s RJ45 და 2 x 10Gb/s SFP+ Ethernet მართვის და კონფიგურაციის პორტები.	
ჟ)	<p>ყველა ჩაწერილი მედია ფაილი შესაბამისობაში უნდა იყოს MXF კონტეინერთან, არანაკლებ შემდეგი ფორმატების მხარდაჭერით:</p> <ul style="list-style-type: none"> • XDCAM HD 422 • DNxHD 185 	
3.2	ფაილური მედია ინჯესტი	
ა)	ცენტრალიზებული ფაილური ინჯესტი, მედია მართვის სისტემებში მეტამონაცემების ავტომატური ატვირთვის ფუნქციონალით.	
ბ)	ცენტრალიზებული ინჯესტის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მედიის არანაკლებ: კოპირებას, ტრანსკოდირებას, კონსოლიდირებას.	
გ)	ყველა ჩაწერილი მედია ფაილი შენახული უნდა იყოს ცენტრალურ სანახში და დარეგისტრირებული უნდა იყოს წარმოების მედია მართვის სისტემიდან (PAM).	
დ)	ინჯესტის სისტას უნდა ჰქონდეს სპეციალიზებული მართვის ინტერფეისი, რომელშიც შესაძლებელი იქნება დაუყონებლივ ინჯესტის დაწყება drag-and-drop-ის ან hotkey გამოყენებით, შემდგომი ინჯესტ პარამეტრების და პროფილის არჩევით.	
ე)	Watch folder - ების შექმნის შესაძლებლობა. თითოეული watch folder	

	უნდა უზრუნველყოფდეს ინჯესტირების პროცესის სხვადასხვა გზის არჩევის საშუალებას, შესაბამისი პროფილიდან გამომდინარე.	
